INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.forensics.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 01 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
www.forensics.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
61.90%
66.58%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
47.37%
62.00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
35.83%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
44.83%
24.27%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
36.36%
47.94%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15.38%
46.25%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
60.00%
64.17%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
60.00%
100.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0.00%
0.00%
0.00%
50.00%
100.00%
150.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება ბიუროს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ბიუროს უფროსის კომპეტენციის აღწერა და მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

გიორგი ხიზანიშვილი

პირადი მონაცემები
დაიბადა ქ. თბილისში 1978 წლის 5 მაისს.

განათლება
1984 წლიდან _ **1993** წლამდე სწავლობდა ქ. თბილისის მე-16 სამუალო სკოლაში.
1993 წლიდან გადავიდა ქ. თბილისის რკინიგზის მე-10 საჯაროს სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1995 წელს.
1995-2000 წწ-ში წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი.
2000-2003 წწ-ში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.
2005-2006 წლებში სწავლობდა ევროპის საბჭოსთან არსებული თბილისის პოლიტიკურ სწავლებათა სკოლაში.
2004 წლის 26 სექტემბერს წარმატებით ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

სამუშაო გამოცდილება
1997-1999 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის ვაკის რაიონის შს საგამომიებო დეპარტამენტში გამომძიებლის თანამშრომად საზოგადოებრივ საწყისებზე.
1999 წლის სექტემბრიდან 2000 წლის სექტემბრამდე გაიარა სტაჟირება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი ექსპერტიზის დეპარტამენტში.

  არ მოიძიება აგრეთვე იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უფროსს - ბიუროს მოქმედი დებულების თანახმად, ბიუროს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

- არ მოიძიება ბიუროს უფროსის მოადგილეების კომპეტენციისა აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; განყოფილებაში სათაურად „ბიურო“ არსებულ ქვეგანყოფილებაში

„მოადგილეები“ მოცემულია მხოლოდ ერთი მოადგილის ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ვახტანგ კარგარეთელი

ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

პირადი მონაცემები

დაიბადა ქ.თბილისში, 1977 წლის 2 თებერვალს

განათლება:

1993 წელს დაამთავრა 163-ე საშუალო სკოლა

2001 წელს დაამთავრა აკადემიკოს ეგ. ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი - სამკურნალო საქმის სპეციალობით, ზოგადი პროფილის ექიმ-მკურნალის კვალიფიკაციით;

2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების-ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი, სამართალმცოდნის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1999-2002 წლებში მუშაობდა სასამართლო ექსპერტიზის განვითარების საერთაშორისო ფონდში "მედეა" – სასამართლო სამედიცინო ექსპერტის თანაშემწედ.

2002-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეც. გამოკვლევათა ცენტრის საექსპერტო-სამედიცინო ბიოლოგიურ სამსახურში – წამყვან სპეციალისტად.

2004 -2006 წლებში მუშაობდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტად.

2006 -2009 წლებში მუშაობდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის უფროსად.

2009-2010 წლებში მუშაობდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე .

2010 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე მუშაობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობაზე.

როსტომ ლაზარია

ბიუროს უფროსის მოადგილე - კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი

პირადი მონაცემები
დაიბადა მარტვილის რაიონში 1978 წლის 14 მარტს.

განათლება
1984-1985 წ. სწავლობდა მარტვილის რაიონის სოფ. ქვედა ნაგვაზაოს საშუალო სკოლაში

1985-1990 წ. სწავლობდა მარტვილის რაიონის მე-2 საშუალო სკოლაში

1990-1995 წ. სწავლობდა მარტვილის რაიონის #1 მრავალპროფილიან ქართულ გიმნაზიაში

1995-2000 წ. სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

სამუშაო გამოცდილება
2001 -2002 წ. მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურის სამეცნიერო-ტექნიკური სამსახურის კრიმინალისტიკური განყოფილების სტაჟიორად
2002-2004 წ. მუშაობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის კრიმინალისტიკური სამსახურის პროკურორ-კრიმინალისტად
2004-2005 წ. მუშაობდა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის თანაშემწედ
2005 – 2009 წ. მუშაობდა ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად

კონტაქტი:

Email: RLazaria@forensics.ge

არ მოიძიება აგრეთვე იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მოადგილეებს;

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ბიუროს ფაქსის ნომერი.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია ბიუროს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ბიუროს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება ბიუროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ბიუროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ მოცემულია ბიუროს ისტორიის შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია:

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ბიურო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრატეგიული გეგმა“ მოცემულია ბიუროს ფუნქციების აღწერა:



ორგანიზაციის სტრატეგიული პოლიტიკა

1. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია წინასწარ დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების შესაბამისად კლიენტების მომსახურებაზე ისე, რომ გაითვალისწინოს ISO/IEC 17025:2005 ის ყველა მირითადი ელემენტი.

საკუთარი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად ბიურო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

• სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ორგანიზება და წარმოება;
• ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ხელმეკრულების საფუძველზე საექსპერტო მომსახურების გაწევა;
• სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა მეთოდიკის სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;
• კადრების მერჩევა, მომზადება და გადამზადება;
• სასამართლო - საექსპერტო პრაქტიკის მეცნიერული განზოგადება და აქტუალური პრობლემატიკის გამოყოფა;
• საქართველოსა და უცხო ქვეყნების სასამართლო - საექსპერტო დაწესებულებებთან და საერთაშორისო საექსპერტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ერთობლივ კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება;
• სამეცნიერო - საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
• სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება;
• დაქტილოსკოპიური (თითის ანაბეჭდების), დნმ - ის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება.

2. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია კვლევით -ექსპერტული მომსახურების გაწევა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ჩამოყალიბებულია ISO/IEC 17025:2005 - ის მოთხოვნების მიხედვით დანერგილ ხარისხის სისტემაში.

3. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იზიარებს საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას ექსპერტულ - კვლევით სფეროში.

4. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელობა ერთგულია ISO/IEC 17025:2005 - ის მოთხოვნებისა და მუდმივი განვითარების კონცეფციისა.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ბიუროს ფუნქციები“ სადაც განთავსდება ბიუროს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული ფუნქციების და უფლებამოსილებების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ბიუროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა, ხოლო, არასრული სახით არის წარმოდგენილი ბიუროს ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
  კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ბიურო“ „არსებულ ქვე-განყოფილებაში „დეპარტამენტები“ არ არის მოცემული ეკონომიკური დეპარტამენტისა

და კირიაკ ზარაევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ცენტრის (დეპარატამენტის) ხელმძღვანელის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია:



- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ:

- არასრული სახით არის წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ბიურო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „დეპარტამენტები“ არ არის მოცემული აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის კომპეტენციის აღწერა, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:





აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

დეპარტამენტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - ბიურო) ტერიტორიულ ორგანოს.

დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოსკონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით,საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და ბიუროს უფროსის სამართლებრივი აქტებით, ბიუროს დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

დეპარტამენტის ამოცანებია:

1. სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართლის საქმეზე სასამართლოს,პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და
იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად ნარკოლოგიური, სამედიცინო,პისტოლოგიური, აბზულატორიული ფსიქიატრიული, საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსურიექსპერტიზების ჩატარება,შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობისშესახებ აქტის გაცემა;
2. გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლისგანჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება;
3. სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;
4. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ნარკოლოგიური, სამედიცინო, ჰისტოლოგიური, აბზულატორიული სასამართლოფსიქიატრიული, საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზების დარგში

დეპარტამენტში სტრუქტურული ერთეულების სახით შედის:

ა) აბზულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის განყოფილება;
ბ) სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის განყოფილება;
გ) საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილება;
დ) საქმისწარმოების განყოფილება.

იხილეთ დეპარტამენტის დებულება

დეპარტამენტის უფროსი - გიორგი მურვანიძე

Email: gmurvanidze@forensics.ge

- აგრეთვე, არ არის მოცემული დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კომპეტენციის აღწერა, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

დეპარტამენტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში -ბიუროს) ტერიტორიულ ორგანოს.

დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და ბიუროს უფროსის სამართლებრივი აქტებით, ბიუროს დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვასაკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

დეპარტამენტის ამოცანებია:

1. სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართლის საქმეზე სასამართლოს,პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და
იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად ნარკოლოგიური, აბზულატორიული ფსიქიატრიული, სამედიცინო, ჰისტოლოგიური, საინჟინრო, სასაქონლო
და ფინანსური ექსპერტიზების ჩატარება,შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;
2. გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება;
3. სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;
4. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ნარკოლოგიური, სამედიცინო, ჰისტოლოგიური, საინჟინრო, სასაქონლო, ფინანსური და აბზულატორიული სასამართლოფსიქიატრიული ექსპერტიზების დარგში.

დეპარტამენტში სტრუქტურული ერთეულების სახით შედის:

ა) აბზულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის განყოფილება;
ბ) სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის განყოფილება;
გ) საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილება;
დ) საქმისწარმოების განყოფილება.

იხილეთ დეპარტამენტის დებულება

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი - კობა ახვლედიანი

Email: kakhvlediani@forensics.ge

- არ მოიძება ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არ მოიძება ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, განყოფილებაში (ბანერი) „ჩვენი ოფისები“ მოცემულ რუკაზე სასურველია, სრულყოფილი სახით მოიძებოდეს ბიუროს ტერიტორიული ორგანოების შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია:

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამსახურის საქმიანობის ამსახველი მიმდინარე ანგარიშები, გეგმები და პროგნოზები, პროგრამები და პროექტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ვებ-გვერდზე არ მოძიება აგრეთვე, ბიუროს მიერ მომზადებული ბეჭდვითი პროდუქციები სასამართლო ექსპერტიზის საკითხების შესახებ (ელექტრონული სახით); ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) მიერ წარმოებული ბიუროში მომზადებული ბრძანებების რეესტრი.

განყოფილებაში „მომსახურება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ექსპერტიზის სახეები“ მოცემულ ჩამოანთვალს შორის აკლია ბიუროს მოქმედი დებულების მიხედვით განსაზღვრული შემდეგი სახის ექსპერტიზების შესახებ ცნობები:

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწე რის ექსპერტიზა;
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- ჰისტოლოგიური ექსპერტიზა;
- კომპიუტერული ექსპერტიზა.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პრაქტიკა“ არსებული ქვე-განყოფილებები სათაურად „მიმდინარე“ და „დასრულებული“ ცარიელია:





- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ბიუროს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ბიუროს უფროსის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და აგრეთვე, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ:



ბიურო აცხადებს კონსკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

თბილისი,01 თებერვალი

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე.

დეპარტამენტი _ ადმინისტრაცია; სამმართველო _ ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო პოზიცია – მთავარი სპეციალისტი საშტატო ერთეული – 1; შრომითი ანაზღაურება – 940 ლარი; სამუშაო განაკვეთი – სრული.

. . . ვრცლად> > >

ბიუროს ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ''რედისონ ბლუ ივერიაში'' გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო

თბილისი, 31 იანვარი

საქართველოში აშშ-ს საელჩოს ინიციატივით, 2012 წლის 30 იანვარს, ''რედისონ ბლუ ივერიაში'', გაიმართა თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს სამუშაო შეხვედრა, რომელშიც, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან, მონაწილეობა მიიღო ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა ნინო ყოჩიაშვილმა. შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ეროვნული მნიშვნელობის ბიოლოგიური საფრთხისაგან დაცვის პროექტისა და ამ საფრთხეებზე ერთიანი რეაგირების გეგმის შემუშავება, სხვადასხვა სფეროს ექსპერტებისაგან სამუშაო ჯგუფების შექმნა, ეროვნული მზადყოფნის და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

. . . ვრცლად> > >

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს

თბილისი,30 იანვარი

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრში სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოში:

11. ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიუროს საქმიანობის მხოლოდ 2010 წლის ანგარიში:



სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“ სადაც განთავსდება როგორც ხსენებული ანგარიში, აგრეთვე, ბიუროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული და მიმდინარე საქმიანობის ამსახველი ანგარიშები.

12. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ბიურო“ მართალია არსებობს ქვე-განყოფილება „სტრატეგიული გეგმა“ , თუმცა მასში მოცემულია ბიუროს ფუნქციების აღწერა, სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ბიუროს საქმიანობას მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა:



ორგანიზაციის სტრატეგიული პოლიტიკა

1. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია წინასწარ დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების შესაბამისად კლიენტების მომსახურებაზე ისე, რომ გაითვალისწინოს ISO/IEC 17025:2005 ის ყველა მირითადი ელემენტი.

საკუთარი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად ბიურო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ორგანიზება და წარმოება;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ხელმეკრულების საფუძველზე საექსპერტო მომსახურების გაწევა;
- სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა მეთოდიკის სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;
- კადრების შერჩევა, მომზადება და გადამზადება;
- სასამართლო - საექსპერტო პრაქტიკის მეცნიერული განზოგადება და აქტუალური პრობლემატიკის გამოყოფა;
- საქართველოსა და უცხო ქვეყნების სასამართლო - საექსპერტო დაწესებულებებთან და საერთაშორისო საექსპერტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ერთობლივ კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება;
- სამეცნიერო - საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე ბეჭდვითი პროდუქციის გამომცემა;
- დაქტილოსკოპიური (თითის ანაბეჭდების), დნმ - ის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება.

2. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია კვლევით -ექსპერტული მომსახურების გაწევა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ჩამოყალიბებულია ISO/IEC 17025:2005 - ის მოთხოვნების მიხედვით დანერგილ ხარისხის სისტემაში.

3. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იზიარებს საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას ექსპერტულ - კვლევით სფეროში.

4. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელობა ერთგულია ISO/IEC 17025:2005 - ის მოთხოვნებისა და მუდმივი განვითარების კონცეფციისა.

13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ბიურო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტატისტიკა“, მოცემულია მხოლოდ 2010 წლის სტატისტიკური მონაცემები, სასურველია, აგრეთვე განთავსდეს ბიუროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული სხვადასხვა წლების ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ბიუროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ბიურო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ბიურო.

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ბიურო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ბიურო.

16. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პარტნიორობა“ განთავსდეს აგრეთვე, ბიუროს საქართველოს ორგანიზაციებთან პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და აგრეთვე, ბიუროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:



სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე ატიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL -ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროზე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)

წარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)

მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI-ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების საკვალიფიკაციო ტესტირებაში.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“, სადაც განთავსდება ბიუროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, ბიუროს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის უფროსის მიერ დამტკიცებული ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების/ტერიტორიული ორგანოების დებულებები და მათი სამოქმედო ტერიტორიების განმსაზღვრელი აქტები, ბიუროს შრომის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ფუნქციების განმსაზღვრელი ბრძანება, ბიუროში სტაჟირების გავლის წესი, ბიუროში კონკურსის ჩატარების წესი, ბიუროს ექსპერტების ტანსაცმლის ფორმის ნიმუში, ბიუროს უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებების განმსაზღვრელი ბრძანება);

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) მიერ მომზადებული ბიუროს თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების, შვებულების, მივლინების შესახებ, ასევე სხვადასხვა სახის ბრძანებების პროექტები და შემუშავებული შინაგანაწესი;

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამო სილებისა და საქმიანობის წესის შესახებ”;
- საქართველოს კანონი “ნორმატიული აქტების შესახებ” ;
- საქართველოს კანონი “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასა მართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ” ;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს კანონი ”სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” ;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა. არ მოძიება აგრეთვე, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ ბიუროში მიღებულ მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერა;

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის"** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/eqspertiza_sajaro.info.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/expertiza_infostatistics.pdf*).*

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მემორანდუმები" სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, ბიუროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ბიუროსა და

სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა პირობები:

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

1. თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოსთან;
2. ნიდერლანდების სასამართლო ექსპერტიზის ინსიტიტუტთან
3. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან;
5. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან;
6. სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან.

აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში ბიურო ახორციელებს მრავალ პროექტს და აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორებთან.

21. ვებ-გვერდზე არსებობულ განყოფილებაში სათაურად „ტენდერები“, მოცემულია მხოლოდ ბიუროს მიერ გამოცხადებული ტენდერების განცხადებები:

2011 წლის 07 ივნისს ბიურომ გასანათებელი მოწყობილობებისა და ელექტრო ნათურების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოაცხადა. (შ 110015312)

2011 წლის 07 ივნისს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ზუსტი სასწორებისა და სიგრძის საზომი ხელსაწყოების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა.(შ 110015197)

2011 წლის 06 ივნისს ბიურომ საოჯახო ტექნიკის, კერძოდ მაცივრების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. (შ 110015176)

2011 წლის 01 ივნისს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა "პროგრამები პროგრამული უზრუნველყოფისთვის და საკონსულტაციო მომსახურების" შესახებ.(შ 110014703)

2011 წლის 27 მაისს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სკანერიანი ელექტრონული მიკროსკოპების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამომაცხადა.

2011 წლის 25 მაისს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ტელე და რადიო მიმღებების, ხმის და ვიდეო ჩამწერების ან რეპროდუცირების აპარატურის შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა.



დასრულებული ტენდერები:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ავტოსადგომების დანაზვის შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო განცხადების ნომერი SPA120000839. წინადადებების მიღება მთავრდება 31.01.2012
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ტოპოგრაფიული ხელსაწყოების და საკვლევი ხელსაწყოების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო განცხადების ნომერი SPA120000622. წინადადებების მიღება მთავრდება 30.01.2012
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ქრომატოგრაფებისა და გაზის ქრომატოგრაფების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო განცხადების ნომერიSPA120000211. წინადადებების მიღება მთავრდება 25.01.2012
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სპექტრომეტრების და მასის სპექტრომეტრების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო განცხადების ნომერიSPA120000302. წინადადებების მიღება მთავრდება 27.01.2012
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ საზომი ხელსაწყოებისა და ზუსტი სასწორების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო განცხადების ნომერი SPA120002345. წინადადებების მიღება მთავრდება 26.01.2012
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ლაზერული პრინტერების და ფერადი პრინტერების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო განცხადების ნომერი SPA120002346. წინადადებების მიღება მთავრდება 26.01.2012

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, ბიუროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია); *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/eqspertiza_shesyidvebi.pdf*

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავ ჩამონათვალს (სია), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/expertiza_shesyidvebi.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ვაკანსიები“ სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ:



მიმდინარე:

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე. დეპარტამენტი _ ადმინისტრაცია; სამმართველო _ ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო პოზიცია – მთავარი სპეციალისტი სამტატო ერთეული – 1; შრომითი ანაზღაურება – 940 ლარი; სამუშაო განაკვეთი – სრული.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა, კონკრეტული ვაკანტური პოზიციის მითითებით (წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება), 2012 წლის 13 თებერვლის ჩათვლით cv@forensics.ge-ზე უნდა გამოაგზავნონ: ა) აპლიკაცია; ბ) სამოტივაციო წერილი (ვაკანტური თანამდებობის მითითებით).

დაწვრილებითი ინფორმაცია

აპლიკაციის ფორმა

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრში სამშენებლო მექანიკისა და წაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოში:პოზიცია – მშენებელ-კონსტრუქტორი.საშტატო ერთეული – 1;შრომითი ანაზღაურება – 1250 ლარი;სამუშაო განაკვეთი – სრული.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა, კონკრეტული ვაკანტური პოზიციის მითითებით (წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება), 2012 წლის 10 თებერვლის ჩათვლით cv@forensics.ge -ზე უნდა გამოაგზავნონ: ა) აპლიკაცია; ბ) სამოტივაციო წერილი (ვაკანტური თანამდებობის მითითებით).

დაწვრილებითი ინფორმაცია

აპლიკაციის ფორმა



დასრულებული ვაკანსიები:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრში სხვადასხვა პოზიციებზე:

I. პოზიცია – საინჟინრო სამმართველოს ექსპერტი ინჟინერ-მშენებელი.

II. პოზიცია – ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების სამმართველოს ექსპერტი – მშენებელი საგზაო ნაგებობების მიმართულებით.

III. პოზიცია – ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების სამმართველოს სპეციალისტი საგზაო ნაგებობების მიმართულებით.

IV. პოზიცია – ექსპერტი-მშენებელი, სამენი მასალების მიმართულებით.

V. პოზიცია – სპეციალისტი - მშენებელი, სამენი მასალების მიმართულებით.

VI. პოზიცია – ტექნიკური მუშაკი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა, კონკრეტული ვაკანტური პოზიციის მითითებით (წინაადგდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება), 2012 წლის 16 იანვრის ჩათვლით cv@forensics.ge -ზე უნდა გამოაგზავნონ:
ა) აპლიკაცია;
ბ) სამოტივაციო წერილი (ვაკანტური თანამდებობის მითითებით).

დაწვრილებითი ინფორმაცია
აპლიკაციის ფორმა

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ბიუროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ბიუროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/eqspertiza_biujeti.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/expertizisbiuro_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ბიუროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/eqspertiza_xelfasebi.premiebi.pdf);

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაციას (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/expertizisbiuro_xelfasipremia.pdf).

- არ მოიძიება ბიუროს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ბიურო;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ბიუროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66.67%
2. ძიება
40.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
47.06%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46.67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
52.63%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
16.67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
0.00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33.33%
0
0.1
0.2
0.3
0.4
0.5
0.6
0.7

- **ნავიგაცია**

ნავიგაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია გვერდების ადგილმდებარეობის განსაზღვრა. მომხმარებელი მარტივად ხვდება თუ რა გვერდზე იმყოფება და რა ინფორმაცია შეუძლია მიიღოს მან მიმდინარე გვერდიდან. ამჟამად ვებ-გვერდზე ეს პარამეტრი არ არის გათვალისწინებული.

მაგალითად გაუგებარია თუ რომელი გვერდია გამოსახული სურათზე:



- **ძიება**

თუ ძიების მოდულმა ინფორმაცია ვერ იპოვნა ვებ-გვერდის ბაზაში, გვერდი ცარიელი რჩება და მასზე არ გამოდის შესაბამისი შეტყობინება. მაგ:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდში გამოყენებულია მცირე ზომის ფონტი, რომელიც რთული წასაკითხია. საკითხავი ტექსტის ფონტის ზომა უნდა იყოს მინიმუმ 12 პიქსელი.

ამჟამად ვებ-გვერდზე ეს კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული:

ორგანიზაციის სტრატეგიული პოლიტიკა

1. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია წინასწარ დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების შესაბამისად კლიენტების მომსახურებაზე ისე, რომ გაითვალისწინოს ISO/IEC 17025:2005 ის ყველა ძირითადი ელემენტი.

საკუთარი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად ბიურო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

• სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ორგანიზება და წარმოება;
• ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ხელშეკრულების საფუძველზე საექსპერტო მომსახურების გაწევა;
• სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა მეთოდიკის სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;
• კადრების შერჩევა, მომზადება და გადამზადება;
• სასამართლო - საექსპერტო პრაქტიკის მეცნიერული განზოგადება და აქტუალური პრობლემატიკის გამოყოფა;
• საქართველოსა და უცხო ქვეყნების სასამართლო - საექსპერტო დაწესებულებებთან და საერთაშორისო საექსპერტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ერთობლივ კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება;
• სამეცნიერო - საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
• სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება;
• დაქტილოსკოპიური (თითის ანაბეჭდების), დნმ - ის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური ალრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება.

2. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია კვლევით -ექსპერტული მომსახურების გაწევა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ჩამოყალიბებულია ISO/IEC 17025:2005 - ის მოთხოვნების მიხედვით დანერგილ ხარისხის სისტემაში.

3. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იზიარებს საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას ექსპერტულ - კვლევით სფეროში.

4. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელობა ერთგულია ISO/IEC 17025:2005 - ის მოთხოვნებისა და მუდმივი განვითარების კონცეფციისა.

ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია სრულად არ არის შევსებული ინფორმაციით. ზოგიერთი კატეგორია ცარიელია. მაგ:



მსგავს კატეგორიებში სჯობს აღინიშნოს, რომ გვერდი ჯერ კიდევ მზადების პროცესშია;

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში, ვებ-გვერდს სათაური ქართულად არის დაწერილი:



ინგლისურენოვან ვერსიაში ვებ-გვერდის სათაური უნდა იყოს შესრულებული ინგლისურად;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმაში, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი და განთავსებულია არასწორ ადგილას „ხშირად დასმულ კითხვებში," უნდა იყოს შესაძლებელი ქართული ფონტის (უნიკოდით) ავტომატურად გამოყენება. ამჟამად ეს ფუნქცია საკონტაქტო ფორმაში არ არის გათვალისწინებული. მაგ:



- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის კატეგორია „ხშირად დასმულ კითხვებში" კითხვა-პასუხის ფორმატის ინფორმაცია არ მოიძიება. ამ გვერდზე მხოლოდ საკონტაქტო ფორმაა:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

მარცხენა მხარეს მყოფ ბანერებზე დაჭერით გადავდივართ ცარიელ გვერდებზე. მაგ:



- **ონლაინ სერვისები**

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ზოგიერთ შემთხვევაში ახორციელებს ისეთ ოპერაციებს, როდესაც საჭიროა მომხმარებლის მხრიდან თანხის გადახდა. თანხის გადახდის საშუალებები დღეს-დღეობით უამრავია, მათ შორის შესაძლებელია Visa/Master Card-ით თანხის დაფარვა ვებ-გვერდიდან. ეს ფუნქცია მეტად კომფორტულია და მარტივია მომხმარებლისთვის, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული მსგავსი ტიპის საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

ამჟამად სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე თანხის დაფარვა შესაძლებელია ლიბერთი ბანკის ფილიალებსა და სწრაფი გადახდის აპარატებიდან. მაგ:



- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდში გამოყენებული სურათები, ვიზუალურად მცირეა თუმცა ზომაში საკმაოდ დიდი მოცულობისაა. მაგ:

ეს სურათები სინამდვილეში საკმაოდ დიდი რეზოლუციის არის:

დიდი ზომის სურათები ხელს უშლის ვებ-გვერდის სწრაფ ჩატვირთვაა, ამიტომ ყველა სურათი უნდა იყოს შესაბამისად ზომაზე მოჭრილი;

ვებ-გვერდის საქაღალდეები (“Folder”-ები) უნდა იყოს დაცული. ვებ-გვერდზე ამჟამად საქაღალდეები საჯაროდ ხელმისაწვდომია:



ვებ-გვერდის მარჯვენა მხარეს მყოფი ბანერები არ არის წარმოდგენილი ბმულებად, სასურველია მათზე დაჭერით მომხმარებელი გადავიდეს წარმოდგენილი ორგანიზაციების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. ამგვარად, მომხმარებელი მეტ ინფორმაციას შეიტყობს ორგანიზაციის შესახებ.

ვებ-გვერდზე აღნიშნული ბანერები მხოლოდ სურათების სახით არის წარმოდგენილი. მაგ:

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდში შეიმჩნევა ხარვეზები, ძირითადად სტრუქტურულ კომპონენტში. ვებ-გვერდს მცირე ხარვეზები აქვს, ასევე პროგრამული კოდის უზრუნველყოფის კუთხითაც. უსაფრთხოების კუთხით, ვებ-გვერდს აქვს მცირე პრობლემები. მომხმარებლის მხრიდან რთული დასადგენია, იფილტრება თუ არა გადაცემული ცვლადების მნიშვნელობები. მათი ხელოვნურად შეცვლის შემდეგ, ვებ-გვერდზე არაფერი არ იტვირთება, შესაბამისად შეცდომები ან ხდება ან ფილტრი ბლოკავს ინფორმაციას. თუმცა, ყველა შემთხვევაში უსაფრთხოებას კიდევ ერთხელ სჭირდება გადახედვა. ზოგადად, საჯარო დაწესებულების საქმიანობიდან გამომდინარე, ვებ-გვერდზე შესაძლებელია სასარგებლო ონლაინ სერვისების მეტად დანერგვა.